ოქმი:**ო03. 3723179001**

თარიღი:**28/06/2023**

ოქმი № 12

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის სხდომის

2023 წელი, 27 ივნისი

ქ.ოზურგეთი

12.00 -13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ღაჟონია, ბ. თოიძე, ქ. ხომერიკი, მ. ვაშალომიძე, ლ. ბიგვავა, ნ. ქარჩავა, ტ. აროშიძე.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ინფორმაცია-2022 წლისა და 2023 წლის 6-თვის პერიოდში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული ქონების პრივატიზაციის შედეგების შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: თ. ბაქანიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მაისის თვის გეგმის შესრულების შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023-2025 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი
სხდომის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია -„2022 წლისა და 2023 წლის 6-თვის პერიოდში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული ქონების პრივატიზაციის შედეგების შესახებ“, ხოლო ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა თ. ბაქანიძემ, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს ინფორმაციის ცნობად მიღება.

მომხსენებელმა, გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია-„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მაისის თვის გეგმის შესრულების შესახებ“, ხოლო უფრო ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და ინფორმაცია მიიღეს ცნობად.

მომხსენებელმა, გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ აშშ განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით მიმდინარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023-2025 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, სთხოვა კომისიის წევრებს გაეცნონ პროექტს და არსებობის შემტხვევაში წარმოადცინონ წინადადებები და შენიშვნები.

გადაწყვიტეს:

სხდომის დღის წსრიგში წარმოდგენილი სამივე საკითხი მიღებულ იქნას ცნობად.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე